ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1938 წ. 20 ნოემბერი № 8 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

39. საქართველოს სსრ სასოფლო ადგილებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაბლევის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

40. საქართველოს სსრ მეწყალმოქმედების სახალხო კომისარიატთან სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების ბიუროს მოწყობის შესახებ.

41. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებში მშრომელთა საჩივრების მიღებისა და გარჩევის საქმის მდგომარეობის შესახებ.

42. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო-ტექნიკური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო-ტექნიკური ინსპექციის შესახებ.

43. გარნიზონებზე იმ საცხოვრებელი ფართობის მიმაგრების შესახებ, რომელიც ადგილობრივი საბჭოების სახლებში უჭირავთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის მეთაურთა და უფროსთა შედგენილობის პირებს და მათ ოჯახებს.

44. სასტუმროებში მუდმივად და უფასოდ ცხოვრების აკრძალვის შესახებ.

45. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

39. საქართველოს სსრ სასოფლო ადგილებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 7 ოქტომბრის დადგენილებისა „სასოფლო ადგილებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 19 ივლისის დადგენილების შეცვლის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 45, მუხ. 269), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ვადა გაუგრძელდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 4 აგვისტოს დადგენილებას „სასოფლო ადგილებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 24, მუხ. 192; № 34, მუხ. 260; 1935 წ. № 15, მუხ. 94; № 25, მუხ. 144; 1936 წ. № 20, მუხ. 119; № 31, მუხ. 186; № 34, მუხ. 204; 1937 წ. № 15, მუხ. 111) და შეტანილ იქნას მასში შემდეგი ცვლილება:

ამოიშალოს მე-8 დანართიდან ერთპიროვნულ მეურნეობებში ცხენების დაზღვევის სადაზღვევო გადასახდელების (ტარიფების) განაკვეთები. დაწესდეს ყველგან ერთპიროვნულ მეურნეობებში ცხენების სავალდებულო-საგანაკვეთო დაზღვევის სადაზღვევო გადასახდელთა განაკვეთი წელიწადში სადაზღვევო უზრუნველყოფის 100 მანეთიდან 14 მან. 50 კაპ. რაოდენობით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1938 წ. ოქტომბრის № 26. № 2043
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების ბიუროს მოწყობის შესახებ.

იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას გეგმიანი გადასახლება-დასახლება საქართველოს სსრ-ში, აგრეთვე ოპერატიული ხელმძღვანელობა რომ გაეწიოს ახალი დასასახლებელი დაბების მოწყობის, ახალი მიწების დასახლებისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების საკითხებს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან სახალხო კომისარიატის სამმართველოს უფლებებით — საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების ბიურო თერთმეტი საშტატო ერთეულის შემადგენლობით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების ბიუროს შენახვა 1938 წლის დამლევამდე მოხდეს იმ სახსრების ანგარიშში, რომლებიც ამ მიზნისათვის გაცემულია სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ.

2. მოეწყოს აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების ჯგუფი სამი საშტატო ერთეულის რაოდენობით და მისი შენახვა 1938 წლის დამლევამდე მოხდეს იმ სახსრების ანგარიშში, რომლებიც გაღებულია სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს 1939 წლის ბიუჯეტში საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების ბიუროს და აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების ჯგუფის აპარატის შენახვა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამხ. ხოშტარიას) აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ერთად ორი დეკადის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების ჯგუფის შესახებ.

5. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გადასახლება-დასახლების ბიუროს მოწყობასთან დაკავშირებით, დაშლილ იქნას საქმემსის სალიკვიდაციო კომისია. ყოფილი საქმემსის საქმეები, ქონება და სახსრები არაუგვიანეს 1938 წლის 20 ოქტომბრისა გადაეცეს სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების ბიუროს და ყოფილი საქმემსის ლიკვიდაციის საქმეთა შემდგომი დამთავრება დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გადასახლება-დასახლების ბიუროს, რისთვისაც ნება დაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიტანოს სალიკვიდაციო კომისიის სახსრების ხარჯზე ოთხი საშტატო ერთეული.

ყოფილი საქმემსის შენობა გადაეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. ბაქრაძე.**

საქ. ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1938 წ. ოქტომბრის 26. № 2088.
თბილისი.

ბ/ბ. 12/IX-685. № 482

014
152.2

41. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებში მშრომელთა საჩივრების მიღებისა და გარჩევის საქმის მდგომარეობის შესახებ.

(ეს 222 დადგკ. 1938 წ. № 8, მუხ. 41).

არაერთხელ მოცემული დირექტივებით პარტია და მთავრობა მიუთითებდა, რომ საჭიროა ყურადღებით და გულისხმიერად მოპყრობა მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებებისადმი, რომ ეს საჩივრები უნდა პირადად გაარჩიონ სახალხო კომისარიატებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა და გადამწყვეტი ბრძოლა იქნას წარმოებული საჩივრების მიღებისა და გარჩევის დროს აპარატის მიერ საქმის გაჭიანურებისა და მისი ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

მშრომელთა საჩივრების მიღებისა და გარჩევის საქმის მდგომარეობის შემოწმებით, რაც საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებში ჩატარდა, გამოირკვა, რომ ეს საქმე დაყენებულია სრულიად არადამაკმაყოფილებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებში არ სწარმოებს მშრომელთა საჩივრების ცალკეული აღრიცხვა. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების, კომუნალური მეურნეობის და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთა საერთო კანცელარიებში კორესპონდენციის რეგისტრაციის დროს არ აღნიშნავენ საჩივრის შინაარსს. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატში ადგილი აქვს საჩივრების დაკარგვის შემთხვევებს.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატში არ არის დაწესებული მომჩივანთა მიღების საათები. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატში მომჩივნების მიღების დროს არ არსებობს წესრიგი და არის შემთხვევები მათდამი უხეშად მოპყრობისა.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი საჩივრებს სისტემატურად უგზავნის გასასხილველად იმ დაწესებულებასა და პირებს, რომელთა მოქმედებაზედაც შეტანილია საჩივრები, რითაც არღვევს მომქმედ დადგენილებებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების უმრავლესობა უხეშად არღვევს მშრომელთა საჩივრების განხილვის ვადებს, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 14 დეკემბრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებით „მშრომელთა საჩივრების გარჩევის საქმეთა მდგომარეობის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 31, მუხ. 274). 1938 წლის 15 ივლისიდან 15 ოქტომბრამდე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მარცვლეულის სამმართველოში შემოსული 82 საჩივრიდან 1938 წლის 17 ოქტომბრისათვის გარჩეული იყო მხოლოდ 30 საჩივარი; იმავე პერიოდში საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმოწყობის სამმართველოში შემოსული 193 საჩივრიდან გარჩეული იყო მხოლოდ 50 საჩივარი. საჩივრების განხილვის ვადების დარღვევას ადგილი აქვს აგრეთვე საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატებში.

მომჩივნებს, როგორც წესი, არ ეგზავნებათ პასუხები.

სრულიად არ სწარმოებს საჩივრების განხილვის შედეგების სისტემატური შემოწმება.

მშრომელთა საჩივრების გარჩევის საქმის გადაჭრით გაუმჯობესების და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატთა ამ დარგში მუშაობის რადიკალურად გარდაქმნის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარს პირადად გაარჩიოს მშრომელთა საჩივრები, რომლებიც სახალხო კომისარიატებში შემოდის, და დააწესოს განსაზღვრული საათები მომჩივანთა მისაღებად.

მოაწყონ მორიგეობა საჩივრების მისაღებად არასამუშაო დროს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს წერილობითი ფორმით აცნობონ მომჩივნებს პასუხი მათი საჩივრების გარჩევის შედეგების შესახებ, ამასთან პასუხის გაუცემლად არ დასტოვონ არცერთი საჩივარი.

3. მომჩივნებთან უხეშად მოპყრობის შემთხვევაში დამნაშავეებს დაადონ შკაცრი სასჯელი თვით სამუშაოდან მოხსნამდეც კი.

4. მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებში მშრომელთა საჩივრების განხილვის შედეგების სისტემატური შემოწმება, არ იქნას დაშვებული მომჩივნებისათვის პასუხის დაგვიანება, რაც გაცემულ უნდა იქნას ერთი თვის ვადაში მაინც, ხოლო წითელარმიელთა საჩივრებზე—არა უმეტეს თხუთმეტი დღის ვადისა საჩივრის შემოტანის დღიდან.

5. მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებში ცნობების გაცემა საჩივრების საქმეთა მდგომარეობის შესახებ და ეს მუშაობა დაეკისროს განსაზღვრულ პასუხისმგებელ მუშაკს.

6. დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას პრაქტიკა, როდესაც საჩივრებს განსახილველად უგზავნიან იმ დაწესებულებასა და პირებს, რომელთა მოქმედებაზედაც შეტანილია საჩივარი.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს გარდაქმნან მშრომელთა საჩივრების აღრიცხვის საქმე, შემოიღონ საჩივრების რეგისტრაცია განსაკუთრებულ წიგნში და გადასცენ საჩივრები სახალხო კომისარიატის აპარატში დასამუშავებლად მხოლოდ პასუხისმგებელ თანამშრომელთა ხელწერილქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისრებს ერთი თვის ვადაში მოახსენონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, თუ რა ღონისძიებები იქნება მიღებული მათ მიერ ამ დადგენილების შესასრულებლად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1938 წ. ნოემბრის 9. № 2136.
თბილისი.

21.9.1

42. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო-ტექნიკური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო-ტექნიკური ინსპექციის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1938 წ. ნოემბრის 9. № 2145.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო-ტექნიკური ინსპექციის შესახებ.

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო-ტექნიკური ინსპექცია ორგანიზებულია თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 5 სექტემბრის დადგენილებისა „მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამთო-ტექნიკური ინსპექციისა და იმ საწარმოებში სამთო ზედამხედველობის შესახებ, რომლებიც არ ემორჩილებიან მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს“ (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 40, მუხ. 233).

2. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო-ტექნიკური ინსპექციის ამოცანას შეადგენს ზედამხედვე-

ლობა გაუწიოს იმ სამთამადნო სამუშაოების სწორად და უშიშრად წარმოებას, რომლებსაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ასრულებენ ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც არ ემორჩილებიან სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

3. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო-ტექნიკური ინსპექცია მასზე დაკისრებული ამოცანის ფარგლებში (მუხ. 2):

ა) კონტროლს უწევს სამთო სამუშაოების სწორად და უშიშრად წარმოებას; იმ სახსრების სწორად და დროულად გამოყენებას, რომლებიც გაღებულია სამთამადნო სამუშაოების უშიშროების ტექნიკის პროფილაქტიური ღონისძიებისათვის; სამთო მაშველი რაზმების მდგომარეობისა და ბრძოლის უნარიანობას; საწარმოო ტრავმატიზმის აღრიცხვის სისწორეს ავარიებისა და კატასტროფების თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელებას;

ბ) კონტროლს უწევს მიწის სასარგებლო წიაღის საბადოების სწორად და რაციონალურად გამოყენებას და მარკშეიდერის სამსახურის სწორად დაყენებას; სამთო და მარკშეიდერის სამუშაოთა წარმოებას ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალის იმ პირთა მიერ, რომლებსაც აქვთ მათი წარმოების უფლება;

გ) კონტროლს უწევს იმ ასაფეთქებელი მასალების სწორად შენახვას, გადატანას და გამოყენებას, აგრეთვე ხარისხს, რომლებსაც სამთო სამუშაოთა წარმოების დროს იყენებენ, და გასცემს მოწმობებს მათი შეძენის შესახებ; კონტროლს უწევს ელექტრომექანიკური მოწყობილობის დადგმისა და ექსპლოატაციის სისწორეს სამთო საწარმოებში;

დ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად წარუდგენს სამთო და ასაფეთქებელ სამუშაოთა უშიშროების ტექნიკის წესებს, ინსტრუქციებსა და ნორმებს;

ამორჩევითი წესით შეამოწმებს სამთო და ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოების პროექტებს უშიშროების ტექნიკის წესების დაცვის და საბადოების სწორად გამოყენების მხრივ; ხელმძღვანელობას გაუწევს სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოებს სამთო სამუშაოთა უშიშროების ტექნიკისა და მარკშეიდერის საქმის დარგში.

ე) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს დასამტკიცებლად წარუდგენს მარკშეიდერის სამუშაოთა წარმოების, აგრეთვე ნაგებობათა დაცვისა და მიწის წიაღის დაცვის წესებს; გასცემს ნებართვებს მიწის სასარგებლო წიაღის ჩაწოლის ტერიტორიაზე საცხოვრებელი შენობების, სამრეწველო და სხვა ნაგებობათა ასაგებად; დააწესებს სამთო სამუშაოთა წარმოების ზონების საზღვრებს; რესპუბლიკური მნიშვნელობის მიწის სასარგებლო წიაღის ნაკვეთებს საექსპლოატაციოდ მისცემს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებს და სხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) გასცემს ნებართვებს სამთო და ასაფეთქებელი სამუშაოთა წარმოებისათვის სამთო სამუშაოებში ახალი ასაფეთქებელი მასალების გამოყენებისათვის.

4. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო ტექნიკური ინსპექცია თავის ამოცანებს ანხორციელებს მის შემადგენლობაში მყოფ ინსპექტორთა მეშვეობით, აგრეთვე ადგილობრივი სამთო ტექნიკური ინსპექციების მეშვეობით, რომლებიც შეიძლება დაარსებულ იქნან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შეთანხმებით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტთან და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან. ადგილობრივი სამთო ტექნიკური ინსპექციები მოქმედებენ განსაკუთრებულ დებულებათა საფუძველზე, რომლებსაც კუთვნილებისამებრ დაამტკიცებენ ამ მუხლში აღნიშნული ორგანოები საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისართან ერთად.

5. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო ტექნიკური ინსპექციის პერსონალურ შემადგენლობას დანიშნავს და დაითხოვს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი.

6. სამთო ტექნიკური ინსპექციის ინსპექტორებს ენიჭებათ უფლება:

ა) ყოველ დროს დაათვალიერონ ყველა სამთო სამრეწველო საწარმო საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, გარდა ისეთი საწარმოებისა რომლებიც ემორჩილებიან სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ჩაატარონ პერიოდული და ეპიზოდური გამოკვლევები და მოითხოვონ გეგმების, ცნობების, მასალებისა და ახსნა-განმარტების წარმოდგენა;

ბ) მისცენ სამთო სამრეწველო საწარმოებისათვის სავალდებულო მიწერილობანი სამთო და მარკშეიდერის სამუშაოთა სწორად წარმოების მხრივ აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრის შესახებ, ხოლო საშიში მდგომარეობის შემთხვევაში, რაც საფრთხეს უქმნის მშრომელთა ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს, სამუშაოთა დაუყოვნებლივ შეწყვეტის და სახიფათო ზონიდან მშრომელთა გამოყვანის შესახებ;

გ) გამოიძიოს ავარიების, კატასტროფებისა და საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევათა მიზეზები, აღძრას საკითხები დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და დაადოს ჯარიმები დადგენილი წესით;

დ) დანიშნოს სავალდებულო წესით მარკშეიდერის სამუშაოთა წარმოება.

შენიშვნა. ადგილობრივი სამთო ტექნიკური ინსპექციების მუშაკთა მიწერილობანი და მითითებანი შეიძლება გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო-ტექნიკური ინსპექციის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო ტექნიკური ინსპექციის მიწერილობანი და მითითებანი შეიძლება გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მიერ.

7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო ტექნიკური ინსპექციის და ადგილობრივი სამთო ტექნიკური ინსპექციების მუშაკებს ეკრძალებათ შეთანხმებით მუშაობა იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებსაც ისინი კონტროლს უწევენ, აგრეთვე ფასიანი სამუშაოსა და დავალებათა შესრულება მათთვის, ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პედაგოგიურ და ლიტერატურულ მუშაობაზე.

8. ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც სამთო სამუშაოებს აწარმოებენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე და რომლებიც არ ემორჩილებიან სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს, მოვალენი არიან უზრუნველჰყონ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო ტექნიკური ინსპექციის და ადგილობრივი სამთო ტექნიკური ინსპექციების მუშაკები:

ა) მიმოსვლის საშუალებებით რკინიგზის უახლოესი სადგურიდან ან ნავსადგურიდან საწარმომდე, თუ ეს მანძილი ერთ კილომეტრს აღემატება;

ბ) სადგომით სამსახურებრივი მუშაობისათვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დასასვენებელი და ღამის გასათევი ბინით.

9. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო ტექნიკური ინსპექციის შენახვა სწარმოებს სპეციალური ხარჯთაღრიცხვით საბიუჯეტო ასიგნობათა ანგარიშში.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებულ სამთო ტექნიკურ ინსპექციას ენიჭება უფლება გახსნას მიმდინარე ანგარიშები საკრედიტო დაწესებულებებში და განაგოს ეს კრედიტები.

10. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებულ სამთო ტექნიკურ ინსპექციას აქვს შტამპი და ბეჭედი, საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბისა და თავისი სახელწოდების გამოხატულებით.

075
691.1

43. გარნიზონებზე იმ საცხოვრებელი ფართობის მიმაგრების შესახებ, რომელიც ადგილობრივი საბჭოების სახლებში უჭირავთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის პირებს და მათ ოჯახებს.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებისა „გარნიზონებზე ადგილობრივი საბჭოების სახლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საბინაო ფართობის მიმაგრების შესახებ, რომელიც უჭირავთ მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის მეთაურთა და უფროსთა შედგენილობის პირებსა და მათ ოჯახებს" (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 47, მუხ. 274) და ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 22 ივნისის დადგენილებისა „საბინაო კანონმდებლობის შეცვლის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 16, მუხ. 79), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ადგილობრივ საბჭოებს მიამაგრონ გარნიზონებს მთელი საცხოვრებელი ფართობი ადგილობრივი საბჭოების სახლებში, რომელიც უჭირავთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის საკადრო მეთაურთა და უფროსთა შედგენილობის პირებს და მათ ოჯახებს.

2. დაწესდეს, რომ მთელი საცხოვრებელი ფართობი ადგილობრივი საბჭოების სახლებში, რომელიც განთავისუფლდება მუშურ-გლეხური წითელი არმიის და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის საკადრო მეთაურთა და უფროსთა შედგენილობის პირთა, აგრეთვე მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახის წევრთა გადასვლის გამო, გადადის გარნიზონის უფროსთა განკარგულებაში და მათი ჩასახლება მოხდება ამ უკანასკნელის მითითებით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1938 წ. ნოემბრის 9. № 2147.
თბილისი.

691

44. სასტუმროებში მუდმივად და უფასოდ ცხოვრების აკრძალვის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა საქალაქო საბჭოს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს ნომრებისა და საწოლების გაცემა სასტუმროებში უფასო ან შეღავათიანი სარგებლობისათვის, აგრეთვე ხანგრძლივ საცხოვრებლად ერთი თვის ან მივლინების ვადის ზევით.

2. დაევალოს საქალაქო საბჭოებს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს ამ დადგენილების გამოტანის დღიდან ერთი დეკადის ვადაში გაანთავისუფლონ სასტუმროები მუდმივი მცხოვრებლებისა და პირებისაგან, რომლებსაც დამოკიდებულება არა აქვთ სასტუმროების მომსახურეობასთან (ჭიათურა, ახალქალაქი, ცხაკაია, ბორჯომი, სამტრედია და სხვ.).

3. წინადადება მიეცეს ყველა საქალაქო საბჭოს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს ერთი დეკადის ვადაში მოახდინოს მთელი იმ დავალიანების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკვიდაცია, რაც სასტუმროების ხაზით ირიცხება ორგანიზაციებსა და პირებზე, ამასთან არ დაუშვან მომავალში ამ დავალიანების დაგროვება.

4. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1938 წ. ნოემბრის 9. № 2156.
თბილისი.

917.7
032.24

45. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის დებულების მე-19 და მე-20 მუხლებისა, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 4 სექტემბრის დადგენილებით (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 40, მუხ. 232), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტთან შეთანხმებული დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს შესახებ.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულება აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1938 წ. ნოემბრის 17. № 2216.
თბილისი.

№ 8
ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს შესახებ.

I. საერთო დებულებანი.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო წარმოადგენს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის ორგანოს.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო ანხორციელებს რესპუბლიკის კინოფიკაციის ხელმძღვანელობას, შეიმუშავებს და გაატარებს ღონისძიებებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ტრესტირებული და არატრესტირებული კინოქსელის განვითარების, ექსპლოატაციისა და მისი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, შესაბამისად სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებისა, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებებისა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტისა და ამ უკანასკნელის კინოფიკაციის მთავარი სამმართველოს ბრძანებებისა და ინსტრუქციებისა.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს დანიშნავს და მოხსნის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი პასუხისმგებელია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის წინაშე საქართველოს სსრ-ში კინოფიკაციის მდგომარეობისა და განვითარებისათვის და კინოქსელის ექსპლოატაციისათვის.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო იმყოფება საქართველოს სსრ ბიუჯეტზე.

II. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს გამგებლობის საგანი.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო:

ა) უზრუნველჰყოფს პარტიისა და მთავრობის მიერ კინოფიკაციის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ანხორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს აფხაზეთის ... ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოებისა და კინოფიკაციის ტრესტების მუშაობისადმი, აგრეთვე კონტროლს სხვა უწყებათა კინოდანადგარების მუშაობისადმი და ხელმძღვანელობას უწევს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციების და საწარმოების საქმიანობას;

გ) განიხილავს და დაამტკიცებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოების მიერ წარმოდგენილ საპერსპექტივო წლიურ და კვარტალურ გეგმებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის მთელი კინოქსელის განვითარებისა და ექსპლოატაციის შესახებ, წლიურ და კვარტალურ საექსპლოატაციო-საფინანსო გეგმებს, საკრედიტო გეგმებს და კინოფიკაციის ტრესტების კაპიტალდაბანდებათა გეგმებს;

დ) შეადგენს რესპუბლიკის მთელი კინოქსელის განვითარებისა და ექსპლოატაციის ნაკრებ საპერსპექტივო, წლიურ და კვარტალურ გეგმებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის კინოფიკაციის მთავარ სამმართველოს;

ე) შეიმუშავებს რესპუბლიკის ტრესტირებული და არატრესტირებული კინოქსელის მუშაობის ინტენსიურობის გაძლიერების, კინოჩვენების ხარისხის და მაყურებელთა კულტურული მომსახურეობის გაუმჯობესების, აგრეთვე კინოფიკაციის ტრესტების სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობის განმტკიცების ღონისძიებებს და ანხორციელებს მათ კონტროლს;

ვ) ანხორციელებს მთელი კინოქსელის ტექნიკურ ხელმძღვანელობას და ინსტრუქტაჟს, კინოდანადგარების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლს, ნერგავს კინოქსელის მუშაობაში კინოტექნიკის უახლოეს გაუმჯობესებებსა და მიღწევებს, ანხორციელებს კინოქსელის ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებებს, აწყობს სამეცნიერო საკვლევო და ექსპერიმენტალურ სამუშაოებს კინოტექნიკის დარგში და ხელს უწყობს რაციონალიზატორულ მუშაობას;

ზ) შეიმუშავებს მთელი კინოქსელის კინო-თეატრებისა და კინო-თეატრალური სადგომების მშენებლობის გაუმჯობესებისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებებს და განახორციელებს კონტროლს და მეთვალყურეობას ტრესტირებული კინოქსელის კინო-თეატრების მშენებლობის მიმდინარეობისათვის; დაამტკიცებს კაპიტალური მშენებლობის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მომქმედი კანონმდებლობის სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიის საქმეთა კომიტეტისა და ამ უკანასკნელის კინოფიკაციის მთავარი სამმართველოს ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად;

თ) შეიმუშავებს მთელი კინოქსელის მუშაკთა შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის ლონისძიებებს, ყოველნაირად შეუწყობს ხელს შრომის სოციალისტური ფორმების სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის, სტახანოვური მოძრაობის გაშლას კინოქსელის მუშაკთა შორის;

ი) შეადგენს ნაკრებ ანგარიშებსა და მიმოხილვებს რესპუბლიკის ტრესტირებული და არატრესტირებული კინოქსელის მუშაობის შესახებ იმ ფორმების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს მიერ;

კ) განახორციელებს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციების საფინანსო კონტროლს და დოკუმენტალურ რევიზიებს და დაამტკიცებს მათ წლიურ ანგარიშებს; შეამოწმებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოების მიერ დამტკიცებულ საბუხჰალტრო ანგარიშებს კინოფიკაციის ტრესტებისა, შეადგენს ტრესტირებული კინოქსელის ნაკრებ საბუხჰალტრო ანგარიშებს და დაწესებულ ვადებში წარუდგენს მათ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის კინოფიკაციის მთავარ სამმართველოს, ხოლო მათ ასლს — საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სათანადო ბანკს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს;

ლ) გაანაწილებს კინომოწყობილობისა და ამ უკანასკნელის კუთვნილ ხელსაწყოების ფონდებსა და კონტინგენტებს, რომლებსაც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტი გამოყოფს მთელი კინოქსელისათვის; გაანაწილებს მოწყობილობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სხვა საგნების ფონდებსა და კონტინგენტებს, რომლებსაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო გამოჰყოფს ტრესტირებული კინოქსელის ექსპლოატაციის და კაპიტალური მშენებლობის საჭიროებისათვის;

მ) გაატარებს კინომექანიკოსთა, კინოტექნიკოსთა და კინოქსელის სხვა მუშაკთა კადრების მომზადებისა და გადამზადების ლონისძიებებს; განახორციელებს რესპუბლიკის კინოქსელის კადრების აღრიცხვასა და განაწილებას;

ნ) შეამოწმებს კინომექანიკოსთა და კინოტექნიკოსთა კვალიფიკაციას და მისცემს მათ ატესტაციას დადგენილი წესით;

ო) ხელმძღვანელობას გაუწევს კინოთეატრებისა და მოძრავი კინოების კულტურულ-მასობრივ მუშაობას; გამოსცემს ჟურნალებს, ბიულეტენებსა და სხვა ლიტერატურას კინოფიკაციის საკითხებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) „სოიუზკინოპროკატის“ კონტორის რესპუბლიკურ განყოფილებასთან ერთად: 1) შეიმუშავებს ღონისძიებებს რესპუბლიკის კინოქსელის უკეთესი ფილმმომარაგებისათვის, 2) შეადგენს სარეპერტუარო გეგმას.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს უფლება აქვს თავისი კომპენტენციის ფარგლებში:

ა) გამოსცეს ბრძანებები და ინსტრუქციები;

ბ) დადგენილი წესით გააპროტესტოს რესპუბლიკის სახალხო კომისრებისა და ცენტრალური დაწესებულებების, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების ბრძანებები და ინსტრუქციები;

გ) დაადოს მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების მუშაკებს დისციპლინარული გადასახდელი;

დ) მოითხოვოს წარმოდგენა და მიიღოს გეგმები, საანგარიშო საბუხჰალტრო და სტატისტიკური მასალები საქართველოს სსრ ყველა უწყებისა და ორგანიზაციის კინოდანადგარების მუშაობის შესახებ;

ე) მოიწვიოს საქართველოს სსრ კინოქსელის მუშაკთა თათბირები და კონფერენციები;

ვ) გამოიკვლიოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოების, კინოფიკაციის ტრესტების და ყველა უწყებისა და ორგანიზაციის კინოდანადგარების საქმიანობა;

ზ) დანიშნოს, გადააყენოს და დაითხოვოს, დადგენილი წესების დაცვით, სამმართველოს პირადი შემადგენლობა, აგრეთვე დააწესოს იმ საქმეებისა და საკითხების ნუსხა, რომლებიც მის გამგებლობაში შედის, და გაანაწილოს სამუშაო სამმართველოს განყოფილებებსა და ნაწილებს შორის;

თ) დასდოს სამმართველოს სახელით ყოველგვარი ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, რომლებიც საჭიროა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს მიზნების განსახორციელებლად, მათ შორის გასცეს მინდობილობანი;

ი) განკარგოს ხარჯთაღრიცხვით გადადებული კრედიტები არსებული წესების დაცვით, აგრეთვე დაამტკიცოს, ამა დებულებით და სათანადო კანონებით და წესებით დადგენილ ფარგლებში, ოპერატიული ხარჯების ხარჯთაღრიცხვების პროექტები; აწარმოოს საკრედიტო ოპერაციები, მათ შორის: ისარგებლოს კრედიტით, გახსნას და დახუროს საანგარიშსწორებო, მიმდინარე და სხვა ანგარიშები და განაგოს ისინი, ხელი მოაწეროს ჩეკებს, საგადამხდელო დავალებებს, მოახდინოს ანგარიშ-ფაქტურების აქცეპტირება და მიიღოს ფული და ფასეულობანი;

კ) წარადგინოს სარჩელები და პასუხი აგოს წარდგენილი სარჩელების გამო არბიტრაჟსა და სასამართლო დაწესებულებებში, აგრეთვე გამოვიდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველოს წარმომადგენლად მთავრობის, ადმინისტრატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და ორგანიზაციებში, ამასთან ეს მოქმედება შეიძლება შესრულებულ იქნას უფროსის მიერ როგორც პირადად, ისე სხვა პირთა მეშვეობითაც, რომლებიც უფლებამოსილ იქნებიან ამისათვის სპეციალური მინდობილობებით.

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინოფიკაციის სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია სახელმწიფო ღერბი და სამმართველოს სახელწოდება.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

III. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს სტრუქტურა.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინოფიკაციის სამმართველოს თავის შემადგენლობაში აქვს შემდეგი განყოფილებები, სექტორები და ჯგუფები:

1. საგეგმო საფინანსო განყოფილება,
2. საექსპლოატაციო განყოფილება შემდეგი ჯგუფებით:
   ა) ტრესტირებული კინოქსელის,
   ბ) არატრესტირებული კინოქსელის,
   გ) ვიწროპასკოვანი კინოსი.
3. ტექნიკური განყოფილება სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიით,
4. სახელმწიფო კინო-ტექნიკური ინსპექცია,
5. სამშენებლო განყოფილება,
6. კადრების მომზადების, აღრიცხვისა და განაწილების ჯგუფი,
7. მომარაგების სექტორი,
8. ბუხჰალტერია,
9. სპეცნაწილი,
10. საერთო განყოფილება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

ფენდა ჩიბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68.

მთავლ. № ს—4921 შეკვ. № 76 ტირაჟი 1500